ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03.37220491**
თარიღი:**18/03/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

2021 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მიმდინარე წლის 18 თებერვალს, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N19 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა 2021 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 25 104,0 ათ. ლარით.

2021 წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 2 ცვლილება:

I. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 13 392 941,79 ლარით:**

II. **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 1 დეკემბრის №15 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 2 376 714 ლარით:**

განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 41805,2 ათ. ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა(ნაზარდი ჯამით) წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 39886,9 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 99,88%-ია(წლიური დაზუსტებული გეგმა 39933,1 ათ.ლარი). მათ შორის

-ქონების გადასახადის გეგმა შესრულებულია 104%-ით;

-დღგ-ს გადასახადის გეგმა 102,6%-ით;

-ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა 66,68%-ით(წლიური გეგმა 50,0 ათ. ლარი, შესრულება 333,4 ათ. ლარი);

-შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 101,7%-ით;

-მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 111,5%-ით;

-მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 93,4%-ით;

-შემოსავალი ჯარიმებიდან 105,9%-ით;

-შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 43,43%-ით;

-შემოსავალი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 87,4%-ით(წლიური გეგმა 395,0 ათ. ლარი, შესრულება 345,2 ათ. ლარი).

გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 13 383,6 ათ. ლარი, მათ შორის:

ა) მიზნობრივი ტრანსფერი-250,0 ათ. ლარი;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან– 140,0 ათ.ლარი;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად _1267,5 ათ. ლარი;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები - 9 140,1 ათ. ლარი;

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1 086,0 ათ.ლარი;

ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები - 1 500,0 ათ. ლარი;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის

გადასახდელების შესრულება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა შეადგენს 41805,2 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2021 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 36661,3 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 87,7%-ია.

-

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 4932,6 ათ.ლარი, წლიური გეგმის 93,36%;

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსებამ შეადგინა 17057,6 ათ.ლარი, წლიური გეგმის 81,74 %;

- დასუფთავება და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2954,0 ათ. ლარი, წლიური გეგმის 99,8%;

-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 5347,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის 91,22%;

- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 4725,3 ათ. ლარი, წლიური გეგმის 94,11%;

-სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 1644,7 ათ. ლარი, წლიური გეგმის 90,77%.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მეოთხე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განსახილველად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი